

მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება პარტია

„საქართველო“



თბილისის მერობის კანდიდატის გიორგი ლილუაშვილის საარჩევნო

პროგრამა

2017 წელი

თბილისი - საქართველოს გული კავკასიის იმედი

მიზანი

ვაქციოთ თბილისი ამიერკავკასიის, ახლო აღმოსავლეთის და შავი ზღვის პირეთის ქვეყნების დედაქალაქებს შორის ყველაზე მიმზიდველ, დინამიურად განვითარებად, ინოვაციური ტექნოლოგიების, კულტურისა და ტურიზმის ცენტრად.

ადგილობრივი არჩევნები ქვეყნისათვის უმნიშვნელოვანესია. არჩევნების შედეგზე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ქვეყნის შემდგომი განვითარება. ქალაქ თბილისის მერის არჩევისას ამომრჩეველმა ხმა უნდა მისცეს იმ ადამიანს, რომელსაც, პირველ რიგში, ნათლად აქვთ წარმოდგენილი და გაანალიზებული ის ძირითადი პრობლემები რაც დღეს დგას თბილისის წინაშე, რადგან თუ სწორად არ მოხდება არსებული პრობლემების გაანალიზება, ვერასდროს ვერ განვსაზღვრავთ გამოსავლს. პირველ რიგში უნდა მოხდეს ქალაქის პრობლემების იდენტიფიცირება და პრიორიტეტებად დალაგება შემდგომ მათი განვითარების მისაღწევი შედეგების/ამოცანების (რის მიღწევასაც ვცდილობთ) გაანალიზება, იმ კრიტერიუმების შემუშავება რომლებიც საშუალებას მოგვცემს სასურველი შედეგის მისაღწევად.

იმისათვის, რომ სწორად განვსაზღვროთ თბილისის განვითარებისათვის მისაღწევი შედეგები, რომლებიც მოგვცემენ სიტუაციის მკვეთრ (არამყისიერ) გაუმჯობესების საშუალებას, რათა სწორად დავსახოთ ქმედებები რომლებიც მოგვცხმარება არსებული პრობლემების დაძლევაში. ამისათვის აუცილებელია, რომ ჯერ გავერკვეთ ამჟამად სად ვიმყოფებით და რა პრობლემები გვაქვს ირგვლივ, შემდგომ მოვახდინოთ პრობლემების პრიორიტეტებად დაყოფა.

თბილისის ძირითადი პრობლემები:

- I. არაეფექტური მმართველობა;
- II. ქალაქის განვითარების გრძელვადიანი გენერალური გეგმის არარსებობა;
- III. მძიმე ეკოლოგიური მდგომარეობა;
- IV. არასასურველი სოციალური ფონი და დასაქმების დაბალი მაჩვენებლები;
- V. მოუწესრიგებელი სატრანსპორტო და საპარკინგო ინფრასტრუქტურა;

I.

არაეფექტური მმართველობა

ძირითადი განმაპირობებელი მიზეზებია:

1. კლანური ინტერესები და გავლენები;
2. კადრების შერჩევის არაეფექტური პროცესები რომლებიც შეიცავს ნეპოტიზმის ელემენტებს;
3. ანგარიშვალდებულების, პასუხისმგებლობის ნაკლებობა და მენეჯერთა არაპროფესიონალიზმი.

აღმოფხვრის გზები:

1. კლანური ინტერეს-ჯგუფების გავლენებისაგან განთავისუფლების მიზნით მერიაში მიმდინარე პროცესები უნდა გახდეს მეტად გამჭვირვალე და ხელმისაწვდომი დაინტერესებული პირებისათვის.
2. უნდა შეიცვალოს არსებული საკადრო პოლიტიკა და დაინერგოს კადრების შერჩევის გამჭვირვალე პროცესი. უზრუნველყოთ მერიის სამსახურების დაკომპლექტება როგორც დარგის სპეციალისტებით, ასევე ახალგაზრდა პერსონალით. არსებულ თანამშრომლებს ჩაუტარდეთ კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები.
3. მერია უნდა გადავიდეს პროექტების პროგრამულ და მიზნობრივ დაფინანსებაზე, სადაც დეტალურად იქნება გაწერილი ყველა განსახორციელებელი პროექტის თუ პროგრამის მიზნები, მისაღწევი შედეგები, შედეგების გასაზომი კრიტერიუმები, პროექტის თუ პროგრამის ფარგლებში ჩასატარებელი სამუშაოები, მათი შესრულების ვადები, შუალედური ანგარიშის წარდგენის ვადები, პროგრამის თითოეული ნაწილის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები. ამგვარად დაგეგმილი

პროექტი თუ პროგრამა მაქსიმალურად გამოიციხავს ანგარიშვალდებულების არქონას და უპასუხისმგებლობას.

4. მერიაში პერსონალის დაწინაურება უნდა მოხდეს მათ მიერ შესრულებული სამუშაოების შედეგებით, რათა, ერთი მხრივ ხელი შეუწყოს კვალიფიციური, პასუხისმგებლიანი კადრების ზრდას, მეორე მხრივ მაქსიმალურად შევამციროთ ნომინალური მენეჯერების რიცხვი ქალაქის მართველობაში.

II.

ქალაქის განვითარების გრძელვადიანი გენერალური გეგმა

გათვალისწინებული საკითხები:

1. ქალაქის ურბანული და სატრანსპორტო დაგეგმარება;
2. მიწათსარგებლობა;
3. ძველი, ისტორიული უბნებისა და იქ არსებული შენობა-ნაგებობების სარეაბილიტაციო სამუშაოების წარმოების გეგმა;
4. ძველი, ავარიული ან ამორტიზირებული შენობების ახლით ჩანაცვლების გეგმა;
5. ახალი მშენებლობების რეგულაციები და სტანდარტები;
6. თბილისის კულტურული და ისტორიული მემკვიდრეობის შენარჩუნების სტრატეგია;
7. ქალაქის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეგმა.

III.

მძიმე ეკოლოგიური მდგომარეობა

გამოსასწორებლად გარემოს დაცვის სტრატეგიის შემუშავება სადაც გათვალისწინებული იქნება დაბინძურების გამომწვევი მიზეზების აღმოფხვრა, შემცირება, კერძოდ:

1. ჰაერის, ნიადაგისა და წყლის დაბინძურების მაჩვენებლის სტანდარტის შემოღება. ჰაერის, ნიადაგისა და წყლის დაბინძურების შემცირება მაჩვენებლების მუდმივი კონტროლით, დამრღვევი ორგანიზაციებისათვის თუ კერძო პირებისათვის შესაბამისი სანქციების დაწესებითა და გარემოსდაცვითი ღონისძიებებში ჩართული ორგანიზაციების თუ კერძო პირებისათვის სხვადასხვა წამახალისებელი ღონისძიებების განხორციელებით;
2. მშენებლობებზე ნებართვის გაცემისას ეკოლოგიური სტანდარტის დაწესება, რომელიც ითვალისწინებს სამშენებლო კომპანიისათვის გამწვანების შექმნის ვალდებულებას;
3. ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმოს შექმნა და გადამამუშავების თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა;
4. არსებული მცირე და საშუალო სკვერების გამწვანება, პარკების რეაბილიტაცია, რეკრიაციული ზონების გაფართოვება და ახლის შექმნა;
5. მტკვრის დაბინძურების შესამცირებლად ყველა საკანალიზაციო ქსელის გარდაბნის გამწმენდ სისტემაში ჩართვის ვალდებულების დაწესება და დამრღვევი ფიზიკური თუ იურიდიული პირებისათვის შესაბამისი სანქციების დაწესება;
6. ენერგოდამზოგავი და ენერგოეფექტური სამშენებლო ტექნოლოგიების დანერგვის ხელშეწყობა შესაბამისი სტანდარტების დამკვიდრების გზითა და საგადასახადო შეღავათების დაწესებით;
7. ქალაქში ჰიბრიდული და ელექტრომობილების მფლობელების წახალისება მათთვის გარკვეული შეღავათების დაწესების გზით;

8. ქალაქში გენმოდირეცირებული პროდუქტის მწარმოებლებისა და შემომტანებისათვის მარკირების ვალდებულების დამკვიდრება.

IV.

არასასურველი სოციალური გარემოსა და დასაქმების მაჩვენებლები

მაჩვენებლების გაზრდის მიზნით უნდა განხორციელდეს;

1. მუნიციპალური ბინათმშენებლობის ფონდის შექმნა, რაშიც მონაწილეობას მიიღებენ სამშენებლო კომპანიები. მათ მიერ აღნიშნულ ფონდში შენატანი (საცხოვრებელი ფართი) გადაეცემა სოციალურად დაუცველ ოჯახებს, ან სხვა კატეგორიას, რის განსაზღვრაც მოხდება შესაბამისი სტანდარტის შემოღებით. აღნიშნული საცხოვრებელი ფართის გადაეცემა მოხდება სარგებლობის უფლებით, მომავალში გამოსყიდვის პერსპექტივით, რისთვისაც გამომსყიდველისათვის გათვალისწინებული იქნება თანხის გადახდის გრძელვადიანი, დაბალპროცენტიანი რეჟიმი და მინიმალური საბაზრო ღირებულების გადახდა;

2. იმ კერძო პირების, კომპანიების თუ ორგანიზაციების რეკლამირება ვინც მონაწილეობას იღებს სოციალური პროექტების განხორციელებაში;

3. თბილისის ისტორიული უბნებისათვის, მათი რეაბილიტაცია-აღდგენის მიზნით შეღავათიანი საგადასახადო სისტემის შემუშავება. საგადასახადო შეღავათს მიიღებს ყველა ინვესტირი, რომელიც თანხას ამ საქმეში დააბანდებს;

4. თბილისის ისტორიული უბნების ადგილობრივი მაცხოვრებლებისათვის ასევე დაწესდება გარკვეული საგადასახადო შეღავათები, თუ ისინი გადაწყვეტენ უბნის სარეაბილიტაციო სამუშაოებში მონაწილეობის მიღებას. კერძოდ, მათთვის დაწესდება გრძელვადიანი, დაბალპროცენტიანი დაკრედიტება, რომლის ფინანსური უზრუნველყოფა განხორციელდება მერიის მხრიდან ნაწილობრივი სუბსიდირებითა და შესაბამისი საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების მიერ დაგეგმილი პროექტების ფარგლებში.

5. ქალაქის ისტორიული უბნების თბილისის სავიზიტო ბარათად გადაქცევა. თბილისის ისტორიული, ძველი უბნები რეაბილიტაცია-აღდგენითი სამუშაოების დასრულების შემდგომ დაიტვირთებიან ტურისტული ფუნქციით, ამდენად იქ მოხდება ტურისტებისათვის შესაფერისი გარემოს მოწყობა სასეირნო, გასართობი ინფრასტრუქტურით, კერძო სასტუმროებით, ბარებით, რესტორნებით, ადგილობრივი წარმოების პროდუქციის მაღაზიებით, ქვეყნისა და ქალაქის მასშტაბით ტურების მარგანიზებელი კერძო კომპანიებით. აღნიშნული ინფრასტრუქტურის მოწყობაში მონაწილეობის მიღებისას გარკვეული უპირატესობა მიენიჭება ადგილობრივ მაცხოვრებლებს, რაც საბოლოო ჯამში გაზრდის თბილისელების შემოსავალსა და სამუშაო ადგილებს.

6. თბილისელებისათვის ამუშავდება საგანგებო პროგრამა, რომლის ფარგლებშიც მოხდება მათი გადამზადება მეწარმეობის, ტურიზმის, შესაბამისი მომსახურე სფეროსა და ინფრასტრუქტურის შესწავლის მიზნით. ასევე, მათი ბიზნესის შემდგომი მდგრადობისა და წარმატების უზრუნველსაყოფად მერიაში შეიქმნება შესაბამისი საკონსულტაციო ცენტრი;

7. ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვის ხელშეწყობა.

V.

მოუწესრიგებელი სატრანსპორტო და საპარკინგო ინფრასტრუქტურა

განვითარების მიზნით უნდა განხორციელდეს:

- 1.თბილისის შემოვლითი რკინიგზის მშენებლობა და მის ადგილზე საავტომობილო მაგისტრალის მოწყობა;
- 2.მიწისქვეშა და მიწისზედა საპარკინგო ინფრასტრუქტურის შექმნა;
- 3.ბინათმშენებლობის სტანდარტში კომპანიებისათვის შესაბამისი საპარკინგო ადგილების მშენებლობის გათვალისწინების ვალდებულება;
- 4.მეტროპოლიტენის შემდგომი განვითარების დაგეგმვა, განხორციელება;
- 5.იქ სადაც ამის საშუალებას იძლევა არსებული გზები ტრამვაისა და ტროლეიბუსის (დაბალტარიფიანი ეკოლოგიურად სუფთა სატრანსპორტო საშუალება) მოძრაობის აღდგენა;
- 6.ტაქსებისათვის გარკვეული სტანდარტის დაკმაყოფილების ვალდებულების შემოღება და ტაქსისტებისათვის ამ ვალდებულებების შესრულების ხელშეწყობის მიზნით გრძელვადიანი, დაბალპროცენტიანი დაკრედიტება, რომელის შესაბამის ნაწილობრივ ფინანსურ უზრუნველყოფას განახორციელებს მერია სუბსიდირების გზით.
- 7.მდინარე მტკვრის, როგორც სატრანსპორტო არტერიის შექმნისათვის შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა-განხორციელება.

დედაქალაქის განვითარებისათვის აუცილებელია ბიუჯეტის ზრდა.

ჩვენი გაანგარიშებით დღეს არსებული 800 მილიონიანი ბიუჯეტი არაა საკმარისი არამცთუ დედაქალაქის განვითარებისათვის არამედ დღეს არსებული ინფრასტრუქტურის შესანახადაც კი.

განაცხადები იმის შესახებ რომ ბიუჯეტი არამიზნობრივად იხარჯება და გარკვეულ მანკიერ ფორმულებსაც ასახელებენ და გვპირდებიან ამ მანკიერების გამოსწორების შედეგად დედაქალაქის განვითარებას, ეს სრული აფსურდია. აბსურდია პენსიებისა და ხელფასების ზრდაც თუნდაც 10 ან და 200 ან 300 ლარით. სამწუხაროა როდესაც ხელისუფლება მაღავს რეალურად საარსებო მინიმუმის რაოდენობას. ზოგიერთი ხელისუფლების მაღალჩინოსნის განცხადებით დღეში ლარნახევარიც კი საკმარისია. სამწუხაროდ ეს ჭეშმარიტებას არ შეესაბამება და მოსახლეობის ფიზიკური განადგურებისკენაა მიმართული.

ჩვენი სპეციალისტების დაანგარიშებით რეალური საარსებო მინიმუმი 1000 დან 1200 ლარამდე მერყეობს. შესაბამისად პენსია და მინიმალური ხელფასი ხელზე ასალები დღევანდელი მოცემულობით ამ თანხაზე დაბალი არ უნდა იყოს. არცერთი პოლიტიკური გუნდი არ ფლობს რეალურად შექმნილი მწვავე ეკონომიკური კრიზისიდან გამოყვანის ხერხებს. ან როგორ უნდა ფლობდნენ საერთოდ რეალობისაგან შორს არიან და საკუთარი ცხირის წინაც აღარ იხედებიან.

ჩვენ მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება - პარტია „საქართველო“ რომლის წევრთა ძირითად ბირთვს შეადგენს საქართველოს ეროვნული აკადემიის მეცნიერთა გუნდი. გავანალიზეთ და რეალურად განვსაზღვრეთ დედაქალაქისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი სტრატეგიული მიმართულებები. მივედით დასკვნამდე რომ, დედაქალაქის რეალურად განვითარებისა და ნორმალური ფუნქციონირებისათვის აუცილებელია დედაქალაქის ბიუჯეტის ზრდა 800 მილიონიდან 3 მილიარდამდე. შესაბამისად აუცილებელია ბიუჯეტის შევსების გზებიც იქნას წარმოდგენილი. შესაბამისად ჩვენს მიერ მოძიებული და განსაზღვრული იქნა ბიუჯეტის შევსების გზაც.

1. საკადრო პოლიტიკის გატარება. აუცილებელია მერიის სამსახურები დაკომპლექტდნენ დარგის სპეციალისტებით, არსებულ თანამშრომლებს ჩაუტარდეთ კვალიფიკაციის ამაღლება, ხოლო

სპეციალისტების არ არსებობის შემთხვევაში ავღზარდოთ ახალი ან გადავამზადებთ უკვე არსებულ კადრებს. შეიქმნება მრჩეველთა საბჭო, რომელიც დარგის მეცნიერ მუშაკებით იქნება დაკომპლექტებული.

შექმნება დასაქმების ცენტრალური ბაზა, რაც დაგვეხმარება განათლების, პროფესიული გამოცდილების მიხედვით დავასაქმოთ დედაქალაქის სამსახურებში მოქალაქეები და აგრეთვე სურვილისამებრ ხელს შევუწყობთ საკუთარი ბიზნესის წამოწყება განვითარებაში.

აიკრძალება მათხოვრობა დედაქალაქის ქუჩებსა და ისტორიულ ტურისტულ ინფრასტრუქტურის მიმდებარე ტერიტორიებზე.

2. მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობა, კერძოდ მერიის ბიუჯეტიდან გაიცეს უპროცენტო სესხები ბიზნესის განვითარებისათვის. მერია დაეხმაროს დამწყებ მეწარმეებს თეორიული კურსებით და კონსულტაციებით ბიზნესის გამართვაში. გაკონტროლდება გაცემული სესხების მიზნობრივი ხარჯვა.

3. დედაქალაქში შეიქმნება მუნიციპალური პოლიცია, ანტიმონოპოლიური, სანიტარულ - ეპიდემიოლოგიური და ხარისხის კონტროლის სამსახურები.

4. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა მომხმარებელთა და მგზავრთა უფლებების დაცვას, დედაქალაქში ავტომობილის საწვავის, ბუნებრივი აირის ხარისხის გაკონტროლებას და ა.შ.

5. დედაქალაქის საგანმანათლებლო სისტემაში მომუშავე თანამშრომლებზე გაცემული იქნება ხელფასის დანამატი და კომუნალური კომპესაციები; მერია პედაგოგებს გაუხსნის კვალიფიკაციის ასამაღლებელ უფასო კურსებს; საგანმანათლებლო სისტემას უზრუნველყოფს მაღალხარისხიანი სამეცნიერო და მხატვრული ლიტერატურით. სრულად დააფინანსებს სამედიცინო და სტომატოლოგიურ მომსახურებას სრული მედიკამენტოზური უზრუნველყოფით, დაუწესდებათ სატრანსპორტო შეღავათები.

6. დედაქალაქში შეკეთდება და დამატებით აშენდება თანამედროვე ბაგა-ბაღები, აღმზრდელებს და მომსახურე პერსონალს გაეზრდებათ ხელფასები და ისარგებლებენ უფასო სამედიცინო და სტომატოლოგიური მომსახურებით.

7. შ.შ.მ. პირების სასარგებლოდ დაიბეგრება სიგარეტის, მაღალი ალკოჰოლის შემცველი სასმელები და სათამაშო ბიზნესი. შემოსული თანხები მოხმარდება მათ მკურნალობასა და მათი შესაძლებლობების გათვალისწინებით სამუშაო ადგილების შექმნას.

8. დაპროექტდება და გაკეთდება დედაქალაქში სანიაღვრე სისტემა და ქუჩები დაიფარება საქართველოს ეროვნულ აკადემიაში დამუშავებული უნიკალური ტექნოლოგიით დამზადებული ასფალტის საფარით. ასფალტის ხარისხის გასაუმჯობესებელი მასალა მოპოვებული იქნება საქართველოში და ძვირად ღირებული საზღვარგარეთიდან შემოტანილი დანამატების წილი განახევრდება, ხარისხი კი გაათმაგდება. აშენდება ახალი ხიდები, შემოვლითი საავტომობილო და სარკინიგზო გზები.

9. მოხდება კომუნალური გადასახადების შემცირება მერიის წილის ხარჯზე, აგრეთვე თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა, რაც საშუალებას მოგვცემს, როგორც ელექტრო ენერჯის ასევე ბუნებრივი აირის მოხმარების განახევრებას.

10. უსახლკაროთათვის აშენდება თანამედროვე ტიპის თავშესაფარი, სრულფასოვანი სამედიცინო და სტომატოლოგიური უზრუნველყოფით, დღეში სამჯერადი კვებით, მეორადი ტანსაცმლით, პირადი ჰიგიენის ნივთებით, შხაპით და დღის ჯიბის თანხით სხვადასხვა პირადი ნივთების

შესაძენად. აგრეთვე მათთვის გაიხსნება გადამზადების კურსები და მერიისათვის საჭირო პროფესიაში გადამზადდებიან შემდგომი დასაქმებით.

აშენდება მოხუცთა თავშესაფარი საერთაშორისო სტანდარტების შესაფერისად.

11. უსახლკარო და უპატრონო ბავშვებისათვის გაიხსნება სკოლა ინტერნატი სადაც მომზადდებიან დედაქალაქისათვის და ქვეყნისათვის საჭირო სპეციალისტები შემდგომში დასაქმებით.

12. გაიცემა ბინათმშენებლობაში ხანგრძლივი უპროცენტო სესხი, პრიორიტეტი მიეცემათ უსახლკაროებს, ახლად დაქორწინებულებს, მეორე და შემდგომი შვილების გაჩენის შემთხვევაში დამატებით გაიცემა კომპესაციები, ხოლო სამ შვილზე მეტის გაჩენის შემთხვევაში სესხი ჩაითვლება გადახდილად და მიეცემა ყოველ გაჩენილ შვილზე კომპესაცია.

დედაქალაქში მშენებარე საცხოვრებელი თუ კომერციული ფართის 10% გადაირიცხება მერიის სოციალურ ფონდში, საიდანაც განხორციელდება სოციალური პროექტები.

13. დედაქალაქში ჯანდაცვის სისტემაში განხორციელდება მნიშვნელოვანი ღონისძიებები, აღსდებება სამედიცინო მომსახურების პოლიკლინიკური სისტემა, გაიზრდება სასწრაფო და გადაუდებელი დახმარების ბრიგადების რაოდენობა, აღიჭურვება უახლესი სამედიცინო ტექნიკით, მოხდება ექიმთა კვალიფიკაციის ამაღლება. გაიზრდება ხელფასები. მერია სრულად დააფინანსებს დედაქალაქის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურებას. დაიხვეწება სამედიცინო სადაზღვევო სისტემა.

14. რესპუბლიკური საავადმყოფოს ბაზაზე შეიქმნება დედაქალაქის ცენტრალური კლინიკური საავადმყოფო. მოხდება დედაქალაქის ტერიტორიაზე არსებული სხვადასხვა პროფილის საავადმყოფოების რეაბილიტირება და გადაიარაღება. ფარმაცევტულ და სადაზღვევო კომპანიებს აეკრძალებათ მათ დაქვემდებარებაში იმყოფებოდეს სამკურნალო თუ სამედიცინო კვლევითი დაწესებულებები.

15. ომისა და შრომის ვეტერანებისათვის გაიცემა დამსახურებული კომპესაციები, რეაბილიტირებული და გადაიარაღებული იქნება ვეტერანთა ჰოსპიტალი, სადაც გაეწევათ სრულფასოვანი სამედიცინო და სტომატოლოგიური მომსახურება და მიეცემათ უფასო მედიკამენტები. დედაქალაქის ბიუჯეტის ხარჯზე გაიგზავნიან საქართველოს კურორტებზე ჯამრთელობის გასაუმჯობესებლად. დაწესდება სატრანსპორტო და სხვა სახის შეღავათები, ომის ვეტერანებს ჩაუტარდებათ ფსიქო-რეაბილიტირება.

16. პენსიონერთათვის დაწესდება კომუნალურ გადასახადებზე კომპესაციები, მათზე გაიცემა ფინანსური დახმარება რეალურად დაანგარიშებული საარსებო მინიმუმუმის ოდენობამდე. ისარგებლებენ უფასო სამედიცინო, სტომატოლოგიური მომსახურებითა და უფასო მედიკამენტებით.

17. სასჯელაღსრულების დაწესებულებებიდან განთავისუფლებული მოქალაქეებისათვის ამუშავდება საგანგებო სარეაბილიტაციო პროგრამა. მოხდება მათი გადამზადება და სასურველი პროფესიის დაუფლება. ბიზნესის წამოსაწყებად მათთვის გაიცემა უპროცენტო სესხი და გაეწევათ კონსულტაციები ბიზნესის განსავითარებლად ან მოხდება მათი მერიის სამსახურებში დასაქმება.

18. პარკირების საკითხის მოსაგვარებლად აუცილებლად მოხდება შ.პ.ს. „სი ტი პარკ“-ის ხელშეკრულების გაუქმება და საგამომიებო ჯგუფის შექმნა ამ კომპანიასთან დადებული კორუფციული გარიგებაში მონაწილე თანამდებობის პირების გამოსავლენად და დასასჯელად, მერია ბიუჯეტიდან და მოზიდული ინვესტორების მეშვეობით ააშენებს თანამედროვე ტექნოლოგიების გათვალისწინებით დედაქალაქის ტერიტორიაზე დამატებით ავტოსადგომებს.

ყველა ავტოსადგომი მოექცევა ერთ სისტემაში და დარეგულირდება პარკირების საფასურის გადახდის სისტემა მერიის სამსახურს დაექვემდებარება ეგრედ წოდებული „სტაიანშიკის“ სამსახური და პარკირების ერთიან საფასურში შევა მათი მომსახურება. მერია თავად გააკონტროლებს დედაქალაქში პარკირებას.

19. მოხდება საზოგადოებრივი ტრანსპორტის ავტოპარკის განახლება. ასევე განხორციელდება თანამედროვე ავტობუსების შემოყვანა, სადაც გათვალისწინებული იქნება შ.შ.მ. პირთათვის საგანგებო "ლიფტები", მოხდება დამატებითი საზოგადოებრივი ტრანსპორტის სახეობების დამატება: ტრამვაი, ტროლეიბუსის, საბაგირო გზებისა და მოვახდენთ მდინარე მტკვრის კალაპოტისათვის ისტორიული ფუნქციის აღდგენას, როგორც სანაოსნო მდინარის. დედაქალაქში იმოდრავებს ამფიბიას ტიპის საზოგადოებრივი ტრანსპორტი ავტობუსი, ტაქსი.

20. მოსახლეობის ფიზიკური აღზრდისათვის გაიხსნება სპორტული დარბაზები, საცურაო აუზები, რეკონსტრუქცია და გადაიარაღება ჩაუტარდება უკვე არსებულ სპორტულ დარბაზებს, ყურადღება მიექცევა სკოლამდელი ასაკისა და სტუდენტთა სპორტულ და პატრიოტულ აღზრდას. მერია დააფინანსებს სკოლებში სამხედრო-პატრიოტულ, ფიზიკურ და სამოქალაქო თავდაცვის პროგრამებს. წახალისდება სკოლებში ინკლუზიური სწავლება.

21. დაფინანსდება თბილისში არსებული თეატრალური და მუსიკალური ჯგუფები, დედაქალაქის ბიუჯეტიდან დაფინანსდება ქართული სატელევიზიო და მხატვრულ-ისტორიული ფილმების გადაღება, ჩატარდება კინოს, პოეზიისა და მუსიკალური ფესტივალები.

22. მერია დააფინანსებს წარჩინებული სტუდენტების სწავლა განათლებას და განახორციელებს სპეციალობების მიხედვით მათ სტაჟირებას მერიის სამსახურებში, დააწესებს სახელობით სტიპენდიებს. მოეწყობა სტუდენტი ახალგაზრდობისათვის გასართობი და კულტურული ღონისძიებები. განახლდება სტუდენტური დასაქმების პროგრამები.

23. მერია იზრუნებს სარეკრეაციო ზონის გაფართოებაზე, დედაქალაქის უბნებში გავაშენებთ როგორც დეკორატიულ, აგრეთვე მსხმოიარე ხე – მცენარეებს. მოხდება თბილისის ზღვის, ლისისა და კუს ტბების სანაპირო ზოლის კეთილმოწყობა და სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარება. თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორია კეთილმოეწყობა და გაშენდება საკურორტო ზონა. რეაბილიტაცია ჩაუტარდება თბილისის ბალნეოლოგიურ კლინიკას და თბილის შვემატბეთ თანამედროვე ბალნეოლოგიურ კურორტს. კეთილმოეწყობა ზოოლოგიური პარკი. დედაქალაქს დავუბრუნებთ ბოტანიკურ ბაღს და კეთილმოვაწყობთ.

24. მოეწყობა უპატრონო ცხოველთა თანამედროვე თავშესაფარი, ვეტერინალური მომსახურებით. მოეწყობა შინაური ცხოველებისათვის გასასეირნებელი პარკები და სკვერები, აგრეთვე ჩატარდება საერთაშორისო დონის გამოფენები.

25. აშენდება თანამედროვე საყოფაცხოვრებო ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმო, რაც დედაქალაქის ეკოსისტემის გაუმჯობესებას გამოიწვევს. აშენდება აგრეთვე სამშენებლო ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმო, რომელიც საშუალებას მოგვცემს მეორადად გამოვიყენოთ სამშენებლო ნარჩენები.

26. დედაქალაქში საზოგადოებრივი საპირფარეშოების მოწყობა, საკანალიზაციო სისტემის რეაბილიტაცია და თანამედროვე ტექნოლოგიებით ბიო გაზის მისაღები საწარმოს შექმნა. შემდგომში გათბობის სისტემებში გამოყენების მიზნით ან მინი თბო ელექტროსადგურის მშენებლობისათვის. ხოლო ნარჩენები მიწის განაყოფიერებისათვის უმნიშვნელოვანესი ბიო დანამატი იქნება.

27. დედაქალაქის ცენტრალური უბნების განტვირთვის მიზნით მოხდება აკრძალვა უკონტროლო სამშენებლო სამუშაოებისა. დამუშავდება დედაქალაქის განვითარების 10 წლიანი და გრძელვადიანი გენერალური გეგმა.

დაიწყება დედაქალაქის ძველი უბნების რეკონსტრუქცია გამაგრებითი სამუშაოები.

ამორტიზირებულ შენობა – ნაგებობებს, რომელთაც ისტორიული მნიშვნელობა არ გააჩნიათ, მოხდება მათი დემონტაჟი და მათ ადგილას თანამედროვე საცხოვრებელი სახლების მშენებლობა დაიწყება, ისე რომ დედაქალაქის იერსახე არ შეილახოს.

28. დედაქალაქის საცობებისაგან განთავისუფლების მიზნით,

ა.) დადგინდება საზოგადოებრივი ტრანსპორტისა და ტაქსების მძღოლებისათვის საკვალიფიკაციო ნორმებს, მძღოლი როგორც პროფესია აღდგება პროფესიათა საკვალიფიკაციო ნუსხაში. (ვინაა საზოგადოებრივი ტრანსპორტის ავტობუსის, მიკრო ავტობუსის მძღოლი, ტაქსის მძღოლი და მოყვარული მძღოლი განისაზღვრება მათი კვალიფიკაცია)

ბ.) დასუფთავების სამსახურს აეკრძალება დღის განმავლობაში დედაქალაქში დასუფთავების სატრანსპორტო საშუალებებით გადაადგილება, განსაკუთრებული შემთხვევების და შესაბამისი სამსახურის ნებართვის გარეშე. დასუფთავების სამსახური იმუშავებს 24 სთ-დან დილის 06 სთ-მდე

გ.) დისტრიბუციის სამსახურებს აეკრძალებათ დღის საათებში სადისტრიბუციო სატვირთო ავტომანქანებით პროდუქციის გადატანა. მათი განრიგი განისაზღვრება 24 სთ-დან დილის 08 სთ-მდე, გამონაკლისი დაშვებული იქნება პურ-ფუნთუშეული პროდუქციის დისტრიბუციისათვის.

დ.) დედაქალაქის მოსახლეობის გზაში მოძრაობის უსაფრთხოების ზომების გაზრდის მიზნით დარეგულირდება შუქნიშანთა სისტემა. დამატებით განთავსდება გამაფრთხილებელი საგზაო ნიშნები, კეთილმოეწყობა მიწისქვეშა და მიწისზედა გადასასვლელები, დარეგულირდება სიჩქარის შეზღუდვები მტკვრის სანაპირო ზოლსა და ვაკე – საბურთალოს ახალ მაგისტრალზე.

29. მკაცრად გაკონტროლდება დედაქალაქში მშენებლობები, არქიტექტურულ სამსახურს დაევალება უმოკლეს ვადაში (ექვსი თვის განმავლობაში) წარმოადგინოს დედაქალაქის განვითარების 5 წლიანი გენერალური გეგმა. გეგმის წარმოდგენამდე დედაქალაქში შეჩერდება ყველა მშენებლობა.

დაიწყება დედაქალაქში საცხოვრებელი სახლების, ლიფტების, სადარბაზოებისა და სახლის სახურავების შეკეთება, კორპუსების თავმჯდომარეების დახმარებით მოხდება დედაქალაქის ერთობლივად დასუფთავების პროგრამის "ერთად დავასუფთაოთ თბილის ქალაქი"-ს განხორციელება. მერია განახორციელებს ილია ჭავჭავაძის იდეას, დედაქალაქის მოსახლეობისათვის ცენტრალიზირებულად სოფლის მეურნეობის ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის შეღავათიან ფასში მიწოდებას; კეთილ მოეწყობა საკოლმეურნეო და საყოფაცხოვრებო ბაზარები.

30. მერია აქტიურ მონაწილეობას მიიღებს და დააფინანსებს საპატრიარქოს სოციალურ პროგრამებს, ეკლესია – მონასტრების რეკონსტრუქცია აღდგენით სამუშაოებს. ახალი სამონასტრო კომპლექსების მშენებლობასა და მის კეთილმოწყობაში მიიღებს მონაწილეობას. საპატრიარქოსთან და კულტურის დაცვის სამინისტროსთან ერთად მოახდენს დედაქალაქში არსებულ ისტორიული და რელიგიური დანიშნულების ძეგლების აღდგენა – რეკონსტრუქციას. აგრეთვე დააფინანსებს საპატრიარქოსთან ერთად სხვა რელიგიური მიმდინარეობების სოციალურ პროგრამებს.

31. ყურადღება მიექცევა დედაქალაქში სახელმწიფო ენის გამოყენების პრიორიტეტულობას და სიწმინდეს. აიკრძალება დედაქალაქის ისტორიულ ნაწილში არაქართული წარწერების გამოყენება სარეკლამო აბრებსა და მაღაზია რესტორნებზე.

ეს არის იმ პრობლემების მოკლე ჩამონათვალი, რომელიც დღეს ყველაზე მწვავედ დგას თბილისის წინაშე და გადაჭრის გზების არასრული ვერსია არსებული პრობლემების მოგვარების გზაზე. მათი მოგვარება საშუალებას მოგვცემს ეფექტიანი გავხადოთ ქალაქის მართვა, უფრო ლამაზი, კეთილმოწყობილი, ეკოლოგიურად სუფთა, მოწესრიგებული სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის, ტურისტებისთვის მიმზიდველ ქალაქად ვაქციოთ თბილისი, რაც თავის მხრივ საშუალებას მოგვცემს გავაუმჯობესოთ სოციალური გარემო, გავზარდოთ ქალაქის შემოსავალი, ტურისტული ინფრასტრუქტურიდან, მცირე და საშუალო ბიზნესიდან შემოსული თანხები კი მივმართოთ მუნიციპალური საბავშვო ბაღების, პოლიკლინიკების მშენებლობაზე, ასევე იმ პროექტების დაფინანსებაზე რაც ხელს შეუწყობს თბილისის, როგორც კულტურული ფენომენის საკადრისი ადგილის დამკვიდრებას მსოფლიო ქალაქებს შორის.